სამუშაოს შეთავაზება

(ვაკანსია)

კომპანია „გლობალფუდი“, სწრაფი კვების ბაზარზე შემოდის 2020 წლის 20 ივნისს. ის მომხმარებელს მაღალი ხარისხის ჰოთ დოგს (Hot Dog) სთავაზობს. კომპანია აცხადებს ვაკანსიას მისი გუნდის წევრობისთვის, ორ სამუშაო პოზიციაზე:

- მზარეული;
- მოლარე.

საჰოთდოგეს სამუშაო საათები, ცვლები და მათი გადაბარება:

საჰოთდოგე მუშაობს: ყოველ დღე 10:00 საათიდან 22:00 საათამდე.

სამუშაო დღე იყოფა სამ ცვლად:

- პირველი ცვლის ხანგრძლივობა: 09:45 - 14:10;
- მეორე ცვლის ხანგრძლივობა: 14:00 - 18:10;
- მესამე ცვლის ხანგრძლივობა: 18:00 - 22:10.

თითოეული ცვლა იყოფა ორ ციკლად, რაც გულისხობს ცვლაში მომუშავე მოლარის და მზარეულის მიერ მათი სამუშაო პოზიციების ერთმანეთში გაცვლას. მაგალითად, პირველი ცვლა:

- 09:45 – 12:00 - მზარეული
- 12:00 – 14:10 - მოლარე და ა.შ.

შესაბამისად, ვინც მზარეულად მუშაობს ცვლის პირველ ციკლში, ცვლის მეორე ციკლში იმუშავებს მოლარედ და პირიქით.

ცვლებს შორის გადაბარების პროცედურა ხუთ წუთს გრძელდება. პროცედურა მიმდინარეობს შემდეგნაირად:

პირველი ცვლის მოლარე სამუშაოს იწყებს პირველი ფულის ყუთით (სამივე ფულის ყუთი დანომრილია ცვლების შესაბამისი ნუმერაციით: პირველი, მეორე, მესამე), რომელშიც წინასწარ განთავსებულია 300 ლარი ნაშთი (სამუშო თანხა), თავისი ცვლის დასრულების შემდეგ 14:00-14:10, ათწუთიან პერიოდში, ახდენს თავისი ცვლის ფულის ყუთის ინკასაციას, კერძოდ, სალაროს ფაქტობრივი ნაშთის პროგრამულ ნაშთან შედარებას, უზუსტობების არსებობის შემთხვევაში მის დაფიქსირერებას და გასწორებას. შემდგომ მოლარე ფულის ყუთს ამზადებს შემდგომი დღისთვის, კერძოდ, ტოვებს 300 ლარს ნაშთს და ფულის ყუთს ათავსებს ობიექტზე გამოყოფილ დაცულ ადგილას. შემდგომ მოლარეს ნავაჭრი თანხა (300 ლარზე ზემოთ არსებული) შეაქვს კომპანიის საბანკო ანგარიშზე სწრაფი გადახდის აპარატების მეშვეობით, რომლებიც მდებარეობს სამუშაო ადგილის მიმდებარედ, „გლდანი მოლში“არსებულ „თიბისი“ ბანკთან.

მეორე ცვლის მოლარე სამუშაოს იწყებს მეორე ფულის ყუთით (სამივე ფულის ყუთი დანომრილია ცვლების შესაბამისი ნუმერაციით: პირველი, მეორე, მესამე), რომელშიც წინასწარ განთავსებულია 300 ლარი ნაშთი (სამუშო თანხა), თავისი ცვლის დასრულების

შემდეგ 18:00-18:10, ათწუთიან პერიოდში, ახდენს თავისი ცვლის ფულის ყუთის ინკასაციას, კერძოდ, სალაროს ფაქტობრივი ნაშთის პროგრამულ ნაშთან შედარებას, უზუსტობების არსებობის შემთხვევაში მის დაფიქსირერებას და გასწორებას. შემდგომ მოლარე ფულის ყუთს ამზადებს შემდგომი დღისთვის, კერძოდ, ტოვებს 300 ლარს ნაშთს და ფულის ყუთს ათავსებს ობიექტზე გამოყოფილ დაცულ ადგილას. შემდგომ მოლარეს ნავაჭრი თანხა (300 ლარზე ზემოთ არსებული) შეაქვს კომპანიის საბანკო ანგარიშზე სწრაფი გადახდის აპარატების მეშვეობით, რომლებიც მდებარეობს სამუშაო ადგილის მიმდებარედ, „გლდანი მოლში“ არსებულ „თიბისი“ ბანკთან.

მესამე ცვლის მოლარე სამუშაოს იწყებს მესამე ფულის ყუთით (სამივე ფულის ყუთი დანომრილია ცვლების შესაბამისი ნუმერაციით: პირველი, მეორე, მესამე), რომელშიც წინასწარ განთავსებულია 300 ლარი ნაშთი (სამუშო თანხა), თავისი ცვლის დასრულების შემდეგ 22:00-22:10, ათწუთიან პერიოდში, ახდენს თავისი ცვლის ფულის ყუთის ინკასაციას, კერძოდ, სალაროს ფაქტობრივი ნაშთის პროგრამულ ნაშთან შედარებას, უზუსტობების არსებობის შემთხვევაში მის დაფიქსირერებას და გასწორებას. შემდგომ მოლარე ფულის ყუთს ამზადებს შემდგომი დღისთვის, კერძოდ, ტოვებს 300 ლარს ნაშთს და ფულის ყუთს ათავსებს ობიექტზე გამოყოფილ დაცულ ადგილას. შემდგომ მოლარეს ნავაჭრი თანხა (300 ლარზე ზემოთ არსებული) შეაქვს კომპანიის საბანკო ანგარიშზე სწრაფი გადახდის აპარატების მეშვეობით, რომლებიც მდებარეობს სამუშაო ადგილის მიმდებარედ, „გლდანი მოლში“ არსებულ „თიბისი“ ბანკთან.

აღნიშნულ პოზიციებზე დასაქმებული თანამშრომელები კონკრეტული ცვლის წინასწარ არჩევისათვის თვითონ ახდენენ მათთვის სასურველ ცვლაში რეგიტრაციას მინიმუმ ოთხი სამუშაო დღით ადრე. რეგისტრაცია იწარმოება Google კალენდრის მეშვეობით. კომპანიის თითოეულ თანამშრომელს სამუშაო ელექტრონული ფოსტა გაეხსნება Google ანგარიშზე (მაგალითად, nana.gamrekeli.01023547392@gmail.com), აღნიშნული ელექტრონული ფოსტა გამოიყენება მხოლოდ თანამშრომლის იდენტიფიკაციისა, სამუშაო გრაფიკის შედგენისა და მასში რეგისტრაციის მიზნებისთვის.

არ შეიძლება თანამშრომელმა აირჩიოს ცვლები უწყვეტად/მიყოლებულად, ცვლებს შორის ინტერვალი აუცილებელია იყოს მინიმუმ უწყვეტი 24 საათიანი პერიოდი. ასევე არ შეიძლება ნებისმიერი უწყვეტი 7 კალენდარული დღის განმავლობაში არჩეული ცვლების საათობრივი ჯამი იყოს 40 საათზე მეტი.

რეგისტრაციის და ცვლების გადაბარების პროცესს აკონტროლებს კომპანიის ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი (HR) თამარ ჭელიძე.

სამუშაო აღწერილობა, ფუნქციები და მოვალეობები:

მზარეულის ფუნქციები: პირველი ცვლის მზარეული 09:45 – 10:00 თხუთმეტწუთიან პერიოდში ახორციელებს ჰოთ დოგის დღიური რაოდენობის პურის (300 ცალი) სპეციალურ შაბლონზე შუამდე ჩაჭრას. ასევე ჰოთ დოგის აპარატში ათავსებს სოსისებს და რთავს გამაცხელებელი ორთქლის ელექტრო კამერას. მზარეული მთელი სამუშაო პერიოდის განმავლობაში იყენებს სპეციალურ სამუშო ხელთათმანებს.

ჰოთ დოგის მომზადება: მზარეული წინასწარ შუამდე ჩაჭრილ პურს მაშებით ათავსებს სადგამ ერთჯერად ფირფიტაზე, ცალი ხელით გაჭრილ პურს მაშით უხსნის პირს, მეორე ხელით მაშით იღებს გაცხელებულ სოსისს და ათავსებს პურში, შემდგომ სპეციალური ბოთლიდან ასხამს მყიდველის მიერ შეკვეთილ საწებელს ან მდოგვს და მაშების საშუალებით ფირფიტაზე მოთავსებულ მზა ჰოთ დოგს გადასცემს მომხამარებელს.

მოლარის ფუნქციები: მოლარე მყიდველისგან იღებს შეკვეთას, ატარებს სააღრიცხვო პროგრამაში ე.წ. თაჩსკრინიანი მონიტორის საშუალებით. ნაღდი ანგარიშსწორების შემთხვევაში იღებს ხელზე თანხას, თვლის და ხურდას უბრუნებს მყიდველს. სალარო აპარატის ჩეკს, რომელიც ამოდის ავტომატურად აწვდის მყიდველს.

უნაღდო ანგარიშსწორებისას (საბანკო ბარათი) ტერმინალზე თანხა ტარდება ავტომატურად და მოლარე მყიდველს უთითებს, რომ ბარათი დაადოს ტერმინალს. საბანკო ჩეკის ამოღება ხდება ავტომატურად.

კომპანიაში მარკეტინგული მიზნებისთვის არსებობს დაგროვების/ფასდაკლების ბარათები. საჭიროების შემთხვევაში, მენეჯერის მითითებით, მოლარე უხსნის დაგროვების/ფასდაკლების ბარათს მყიდველს. დაგროვების/ფასდაკლების ბარათს მყიდველი თვითონ ათავსებს სპეციალურ ელექტრონულ მიმღებზე. სააღრიცხვო პროგრამა ავტომატურად აფიქსირებს და ფასდაკლების შემთხვევაში აკლებს დაკლებულ თანხას, ისე რომ მოლარეს არ სჭირდება დამატებითი გამოთვლები და ხელით ჩასწორება.

შეკვეთის მიღების შემდგომ პროგრამა ავტომატურად ბეჭდავს შეკვეთის ფურცელს, რომელზეც მითითებულია შეკვეთის ჩამონათვალი. მოლარე შეკვეთის ფურცელს გადასცემს გვერდზე მდგომ მზარეულს და მზარეული იწყებს მომზადებას. თუ მყიდველი უკვეთავს სასმელს მაშინ მოლარე მაცივარიდან იღებს შესაბამის სასმელს და მყიდველს გადასცემს. ამის შემდგომ მოლარე მიმართავს შემდეგ მყიდველს და იღებს ახალ შეკვეთას.

აღნიშნულ პოზიციებზე დასაკავებელ კანდიდატთა პიროვნული მახასიათებლები:

- მყიდველის კმაყოფილებაზე ორიენტირებული;
- პუნქტუალური/დისციპლინირებული;
- გუნდური მუშაობის მოყვარული და კომუნიკაბელური;
- კეთილგანწყობილი, თავაზიანი და ენერგიული;
- პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე;
- მოტივირებული, ორგანიზებული

ორივე პოზიციაზე მომუშავე თანამშრომლებს ევალებათ დადგენილი ჰიგიენური წესების დაცვა, მათ შორის ხელთათმანებით და მაშებით მუშაობა, რათა მზარეული მაშების და ხელათმანის გარეშე, ხელით პირდაპირ არ შეეხოს პროდუქტს. ამასთანავე, თანამშრომლებს ევალებათ ახალი კორონავისურსის გავრცელების აღვეთისათვის დადგენილი რეგულაციებიდან გამომდინარე დამატებითი ჰიგიენური წესების დაცვა.

შერჩეული კანდიდატები წინასწარ გაივლიან ტრენინგს.

სამუშაო ადგილის თავზე განთავსებულია საკონტროლო ვიდეო-კამერა.

სამუშაოს ანაზღაურება

სამუშოს ანაზღაურება ხდება საათობრივად, ფაქტობრივად, შესრულებული სამუშაოს დროის პროპორციულად თვეში ორჯერ, მხოლოდ უნაღდო წესით, საბანკო ანგარიშის საშუალებით.

სამუშაოს ადგილმდებარეობა

კომპანია „გლობალფუდის“ საჰოთდოგე მდებარეობს შემდეგ მისამართზე:

ქალაქი თბილისი, სავაჭრო ცენტრი „გლდანი მოლი“ მეოთხე სართული;

„გლდანი მოლი“ მდებარეობს ხიზანიშვილის ქუჩაზე, მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრის“ ამოსასვლელთან.

კანდიდატების შერჩევა

კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრების გზით. გთხოვთ CV გადმოაგზავნოთ ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის ელექტრონულ ფოსტაზე infotamarchelidze@gmail.com

გისურვებთ წარმატებულ დასაქმებას!